

923

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ԵՐԵՎԱՆԻ
19

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ԵՐԵՎԱՆԻ

№ 4



- მ. ადამაშვილი—კვაჭი კვაჭანტირაძე.
- პ. ქ.—პროფტ. მხატვრები. კეტი კოლიცი.
- ს. ასლანიშვილი—სანდრო ყაზბეგის მხარეს.
- ჯონ რიდი—ნაწყვეტი რომანიდან „ათი დღე, რამაც შესძრა ქვეყნიერება“.
- ვ. გ.—არტურ რემბო.
- არტურ რემბო—ხელმეორედ დასახლებული პარიზი.
- ს. შანშიაშვილი—სპარტაკ.
- ი. ხ—ლი—კინო.
- კინომრეწველობა ჩეენში.
- ინტერნაციონალის მუსიკის ავტორი.
- სახალხო სახლის იუბილე.
- აინშტაინ ხელოვანთა სასახლეში.
- ილუსტრაცია და სხ.

1924 წ-ლ.

კედლის კალენდარი და
მოკრასვი კალენდარი

გამოცემა სახალხოვნო გამოცემლობისა

შედგენილი პ. ი. ზუმბაძისა.

კალენდარში შეყვანილია: საგეგნიერო სააპონომიო საგაურანო საგხსტრო
და სალიტერატურო მასალა

კალენდარი სუფთად და მსატკრულადან გამოცემული.

მოიკითხეთ ყველა კიოსკსა და წიგნის მაღაზიაში

საწვობი სახელმწიფო გამოცემლობა ლორის ქუჩა, ქ. № 5.



დ ჯ ე ტ შ ა

34 20
1924

ოპორტიუნული სახმარებრო-სალიბრატორო შუანალი.

განცხადების ტარიფი:	ხელის მოწერა:	მისამართი:
ერთი ვერტი . . . 100 მ. რურ.	საბნ თვით . . . 1 მან. 20 ჰ. რურ.	რედაქციის და კონტორის
ნასყარნი ვერტი . . . 50 მ. „	ერთი თვით . . . 40 ჰ. „	რუსთაველის პრ. № 22.
მოსთსვიდ ვერტი . . . 35 მ. „	ცალკე ნომერი ყველგან . . . 20 ჰ. „	მილიუტა სელის მთწერა დილის
		9-3 საათამდე.

№ 4

შაბათი 15 დეკემბერი 1923 წ.

№ 4



ქ ი კ ვ ა ჯ ა ნ ტ ი რ ა კ ე.

კვანის ვაგუშორა.

IV

მის შემდეგ რაც სილიბისტრო კვანტირატემ აზნაურბო დაიმტყიცა, მის ხასიათს და ოჯახსაც ელფერი გამოეცვალა. ყველანი გაიბღინდნენ, გაამპარტავდნენ, „გაკვირილშობილდნენ“. წინანდელ მესობლებს ან აღარ კაღრულობდნენ, ან ისეთი მედიდლორობით და მფარველობით ექვეოდნენ, თითქო მათ შორის ძველი ხიდი ჩატვდა და ახალი კედელი აშენდაო.

სილიბისტრო ზოგჯერ ასე არიგებდა ზოღმე პაწია კვაქიკოს:—შვილო კვაქი, ეს ქვეყანა ასეა მომართული: ზოგი უფროსია, ზოგი უნჯროსი, ზოგი მდიდარია, ზოგი ღარიბი, ზოგი ძლიერია, ზოგი გლახაკი, ზოგი თავადია ან აზნაური, ზოგი კრდეე ყახზახია, გლეხია. შენისთანა აზნაურისშვილმა ყველას თავი არ უნდა გოუტადროს, არ უნდა აპყვეს. ყახზახი და გლახა შენ ვერაფერს მოგცემენ, პირიქით გამოარჩებიან რასმეს. აზნაურს და მდიდარს დაუმეგობრდი, დაუახლოვდი, ასიამოვნე და ძმად გაუხუჯი. მდიდარი და ძლიერი ყოველთვის გამოგადგება: ერთი წინ წაგაყენებს, მეორე ვაჭუქებს რასმეს, მესამე ხელს ზოგინართვს. ასეა, ჩემო კვაქიკო, მოწყობილი ეს ქვეყანა, შენც უნდა მიპყვე მას და გამოიყენო.

კვაქიკო ქუყამახვილი და გაკვანი ბავშვი იყო, ამჟამად სილიბისტროს დარბაზებს ადვილად ითვისებდა და მისდევდა. ექვსიოდე წლისა ძლიერ იქნებოდა, რომ ვაჭრობის საქმეში უკვე ენა იღვრა. როცა სილიბისტრო, ან ნოტიო, ან ბარდლა ჰყიდულობდნენ გლეხებისგან საქონელს, კვაქიკოსაც უშეკველად უნდა ჩაერთო თავის სიტყვა:

— ალ ვაღვა... ძვილია... დილას ოლ შაულად გვაძლიოს..

მუშტარას ღიმილით და თავზოზანად დაუხედებოდა — ვაშალავება, ბიძიფე... კვაქი მქვიან... ექვსი წლი

სა გახლავალ... სილიბისტროს შვილი ვალ... ყველაფელი ვახლავთ: ხალი, კუპატი, სულუგუნი, ხაჩრო, კველცხი... სეილის ღვინოც ვახლავთ... ესლავე შხად იქნება.

და მირბოდა ბრძანების ვასაცემდ, თან ყვიროდა: — ჩქალა! შოალთვი დაც კალგია. ალაავე! ვაწმინდე! ვალცევე! აბა, ჩქალა, დატლილდი!

სწავლა დიაკვნამა დააწყებინა. რვა წლისა რომ გახდა, ქუთაისში ჩაიყვანეს გიმნაზიაში მისაბარებლად. თან გაჰყვენენ სილიბისტრო, ძაბული, ხუხუ და ნოტიო. ასეთი დიდი, სუფთა, მდიდარი და ლამაზი ქალაქი რომ დანახეს, გაოცდნენ და დაიბნენ: სილიბისტრომ მათი გაოცება რომ შეამჩნია, ყველანი ასე დაარბავ:

— ყური მივდეო, ვაიგონეთ და დაიხსოვეთ: რომ ძალიანაც გაიკვიროთ რამე, გაკვირებას ნუ შეიწმინვეთ, თორემ შეგატყობენ გამოუცდლობას და მასხრად აგიგლეღებენ, დატყინებენ, ან ხრისს მოგლეგენ. თუ ლაპარაკი ჩამოვარდა საღმე, სოქეთი, ტუვილისშოაც ვყოფილვართო, ერთი წელიწადი მიტოვორიათო, ყველაფერი მიხანახეს, ვამიგია და გამომიციდიათო.

კვაქიკომ ეს დარბაზებც კარგად შეითვისა და იმავე დღეს ძაბულის შორეულ ნათესავთან, ბუღუ შოლიასთან, სადილის დროს, როცა ტუვილისის შესახებ ჩამოვარდა სიტყვა, დროზე ჩაურთო არხინიდა და დინჯად:

— არა უშავსა, დიდი ქალაქია, მომწონს... დაიხ, შარშან ორხელ ვახლდით... მომწონს „გოლოვინსკი“, თეატრი, ვაგზახლი... დუქნებუც კარგია...

არც გაუთვლიდა, არც მხა აუკაცლდა, თან ყველას ისე გადახედა, თითქოს ეკითხებოდა: აბა, რომელი ვაჭბედავს და დამიმტყიცებს, რომ ტუვილს ვამბობო. ნამდვილად ქუთაისმა კვაქიკო გააკვირვა, ვაბარუა და ცაში აიტაცა. ვაგარა რას დიქტრებდა მამინ პაწია კვაქიკო.



რომ მომავალში, როცა კვაკი კვაპანტრიძე თავადიშვილის პსევდონიმით დაივლის და ნახავს პეტერბურგს, პარიზს, ვენას, ბერლინს და ლონდონს, ქუთაისის გახსენებანზე მწირად ჩაიკინებს და იტყვის:

— თურმე საქათმეში დავიბადე, სალორეში გავიზარდე, ცხლა კი ნამდვილ სსახლეში ვადმოსახლდი.

ერთი კვირის შემდეგ, როცა კვაკიო დაბინავდა ქუთაისში, სილიბისტრო თავის ოჯახით სამტრედიამო დაბრუნდა. უკანასკნელად, კვაკიოს რომ ეთხოვებოდა, სილიბისტრომ ასე დაარბია თვისი ერთადერთი ნუგეში და იმედი:

— აბა შვილო, გეთხოვები. კარგა ხანს ვეღარ გნახავთ. მივედიართ, მაგრამ გული და სული აქა გვრჩება ქვეიანად იყავი, სწავლას გული დაუდებ, ბუღებს და მასწავლებლებს ყველაფერი დაუჯერე. გაფუტებულს და ყაზახ ბოიშებს ნუ აყვები. თუ ქუა იხმარე, ისეთი კაცი გამოხვალ, რომ მთელ სამტრედიას, ხონს და ქუთაისსაც აალაპარაკებ. მტერს უნდა თვალი დავეყუწოთ, მეგობარი და ნათესავი გავახაროთ. შენი იმედი მივედიართ, შვილო კვაკიო... შენ იცი...

კვაკიომ უპასუხა:

— თქვენ არხეინად იყავით... კვაპანტრიძის გვიარა შევარცხენ.

ყველამ გაიკინეს, მერე იტრეს, ერთმანეთი დაპოცნეს და წაივინდნენ.

კვაკიო დარჩა ბუღელ შოლის ოჯახში, ბალახანის ქუჩაზე, საცა შოლის სამიკიტრო ჰქონდა. ერთი კვირის შემდეგ გიმნაზილის ახალ ფორმაში გამოწყობილი კვაკი სწავლას შეუდგა.

V

გავიდა რამდენიმე წელიწადი. კვაკი დაქაბუდა, გვიზარდა, ვაიშალა. მაღალი, ჩახსმული, ლამაზი და ტანადი ვეკაცი იზრდებოდა. ნიჭით კვაკი პირველთა შორის ითვლებოდა, რომით უკანასკნელი იყო, ხოლო საერთოდ საშუალო. გაკეთილების დასწავლა და დაზებირება მისთვის ტანჯავა იყო, მაგრამ მიიწე ადვილად ეწეოდა სიბრძნის უფლს, რადგან დიდი მისიიერება ჰქონდა და კლასში ადონილს ადვილად ითვისებდა. ვერე წიგნის კითხვის უღებდა ვეულს, თუმცა დატკეცებით ჰკითხულობდა მოგზაურობას, ყოველგვარ თავდადასავლას, მსხველრებას და წარსოვებას ავანტურის აღწერას. ორჯერ სამსჯერ გადაიკითხა ჯერ მაინ-რიდი და გუსტავ ემარი, მერე გორდონის მოგონებანი, ნაჰ პინკეტონი, შერლოკ ჰოლმსი და ამგვარი ავტორები.

სილიბისტროს დარიგება კვაკის მაგრად ჩაეჭედა ტვინში. კვაკი სულ იმის ცდაში იყო, რომ ძლიერთათვის და მასწავლებლისთვის ეცამიგრენებინა რამე, მუდმივ მათ თვალ წინ ეტრიალაჰ,მათთვის თავი მიეყოვნებინა, შეეყარებინა და მათგან წერილ-წერილი გამოჩინა და სარგებლობა ენახა. ამ მხრივ კვაკი ბუნებამ უხვად დააჯილდოვა, მას საოცარი და იშვიათი ნიჭი ჰქონდა ადამიანის ხასიათის ცნობისა, მასთან დახალგავედობა, დამკობრება-დამძიბობებისა, მისი სრული ნდობის და სიყარულის მოპოვებისა. თუ კვაკი გულში ჩაიდებდა ვინმესთან დახლოვებას, იგი კაცი ან ქალი ორიოდე კვირაში კვაკის სულითა და გულით დატკეცებული ჰყავდა.

კვაკი ქვეითთან ქვეიანი იყო, დინჯათ—დინჯი, ხუპარასთან—ხუპარა, დარდიანთან—დარდიანი, მზიარულ-

თან—მზიარული; ძლიერთან მორჩილი, პირმოთან—ქუსსა, თავაზიანი და მოღმიარი; უხეშთან და ჭირვეულთან—თავდახალი და მოქნილი; სუსტთან—ძლიერი, კანდიერი, კინიანი; პირდაპირთან—ორგული, ფილი და ორპირი; ორგულთან—ათავალი და ათპირი; მუხასთან—ღერწამი, ლერწამთან—მუხა; რკინასთან—ბამბა ზ ბამბასთან—რკინა.

საცა პირდაპირი გზა დაკეტილი იყო და სხვა ვინმე უკან იხედავ, იქ კვაკი ხუთიოდე მიხვეულ—მოხვეულ ბინილი აპოვად; უკარი და უფანჯრო ოთხკუთღში რომ ჩავარდნილიყო, ათიოდე ხერელს აღმოაჩენდა; ცხრაკლიტურ ტენეში ისე შედგებოდა და გამოძებობდა, როგორც ცემსი ბუმეულში.

კვაკიმ ზედმიწევნით შეიგნო და შეითვისა გარდუელი და უღლვეელი ძალა ტუბილი სიტყვისა, ღიმილისა, ქებისა, ქლესობისა; მან აიოვნა თილისმა ნდობის მოხვეუქისა, ადამიანის სულის და გულის დაკურობა—დამორჩილებისა, ათთა და ასთა დაბმა—მოწველისა, მათი გაკრეკა-გამოყენებისა.

როცა ვინმეს შეჭკვეუდა და მოსწველიდა, მახლობელთა შორის სინდისის დასამშვიდებლად იტყოდა ხოლმე:

— ამ ქვეყნად ზოგი უნაგირით იბადება, ზოგი დე-ზებ თ და მათრახით. მე დეზი და მათრახი მიჩრეცენია, დეე სხვებმა უნაგირი ატარონ. ასე უთქვამს თურმე ვოლტერს.

ან:

— ამ ქვეყნად რომ ყველა გულმაგარი და უნდო იყოს, და ყველას რომ ჯიბე მივთულის მათეთ ჰქონდეს პირმოკერილო, ჩემისთანა კაცი უნდა დარაჯად დაუდგეს სხვის ჯიბებს, ან მიწას უნდა ჰხნადეს.

ან კიდევ:

— ცხვარი ღმერთს მოსაწველად და საკრეკად გაუჩენია.

კვაკის ყნოსვა და ალლო კარგი ჯიშინი ძალღვივთ ჰქონდა განვითარებული. იგი ცოცხალი ბარომეტრი იყო და გაავდრებას ან გამოდარებას მაშინ იგრძნობდა ხიო-მე, როცა სხვები დარის გამოცვლას არც კი მოულოდნენ. ხოლო დარი ხზირად იცვლემბოდა შოლისა რქებისა და ოჯახში, გიმნაზიაში, ბულვარზე და ქუთაისის საერთო ცხოვრებაში. კვაკი დარის გამოცვლას დროზე აუღებდა ალღოს და უშალ ვაღიკვამად ხოლმე ახალ ტანისამოსს და კანს, საბრძოლველ იარაღს შეიკვლიდა, თავის ქალებს შესაფერად გადააჯგუფებდა, ჩამავალ მზეს მიფუთობებდა, ამომავალს მიესალმებოდა, დარდომილს ჩასწისლავდა და წამოდებარს თამამად ვეერღში ამოუღებოდა.

ყველაფერს თავის ადვილად, დრო და ზომა აქვს.

ეს უბრალო ჰუმეარიტებაჲ კვაკის ზედმიწევნით ჰქონდა შეთვისებული და ამ იარაღსა საოცარის მარდობით ჰხმარობდა. ლაპარაკს კილო, სიტყვების რაოდენობა და შეჩრევა, მათი მოხმარება თავის დროზე და შესაფერ პირობებში, ყოველი ნაბიჯი, მიხერა-მიხერა—ყველაფერი გამოამაგრიშებული, დათვილი, არინ-დარინილი და გამოაგრილი ჰქონდა: თავის დროზე ჩრდილში შესვლა და თავის გარიდება, თავის დროზე გამოშვებება და თავის გამოჩენა, თავის დროზე მოთმენება და მოლოდინი, დროზე მოქმედება და თავის დროზე ისევე უკან დახევა.



კვაკის ბაღალი არ ჰყავდა ფულის შოვნაში, ჩავრამ ან იშვიათად, ან არავან ციკოდა ნამდვილი წყარო და

ხერხი ამ ფულგების შოვნისა. უუციღურეს შემთხვევაში კვა-
პი სესხსაც მიჰპართავდა ხოლმე. ამ ძნელზე ძნელ ქუთა-
თურ საქმეშიაც კვაპის თავისებური ხერხი ჰქონდა—უბ-
რალო, პარტიკი და უებარი: ის მოულოდნელად, სხვათა
შორის, ვაკერით და არხინდელ ჩაურთავდა ხოლმე მასში:
„სამი თუმანი მასესხეო“, და ამას ისეთი კილოთი იტყო-

და და ისეთს დროს შეარჩევდა, რომ უარს არასოდეს
მიიღებდა. ხუთი წუთის შემდეგ ფულის გამსესხებელი ნა-
ნობდა და თავში ხელს იცემდა, მაგრამ გვიანდა იყო.

კვაპის კიდევ ერთი ჩვეულება სჭირდა, რომელიც
კანონად და წესად ჰქონდა მიჩნეული: ნურავის, ნურასო-
დეს, ნურაფერზე უარს ნუ ეტყვი, მაგრამ დაპირებული

თბილისის ტრამვაის მთავარი სახელოსნოები.



1. ფლეტრონის მანქანა; 2. ვაგონების რემონტი; 3. რელსების მოღუნვა 4. სადურღლოს სახელოსნო.

მხოლოდ მაშინ შესარულე, თუ იგი იმ დღესვე ან ხვალ
მაინც კვაპისთვის სასარგებლო იქნება. ამიტომ იყო, რომ
კვაპიკოსგან უარი არავის გაუტყა. ფულგეთილი, თავზიან-
ნი და ზრდილი ახალგაზრდა უხეად აბნევედა მარცხნივ და
მარჯვნივ ათასნაირ დაპირებას, მაგრამ საკვირველი ის
იყო, რომ მოტყუებულთ არ სწყინდათ იმედის ვაცრუება,
რადგან კვაპი ისე თავზიანად, ტკბილად და ხელმარ-
ჯედ გამძვრებ-გამოძვრებოდა ყოველგვარი გაპირების-
გან, რომ მისი კრედიტორები ნასიამოვნებიც კი რჩებოდ-
ნენ და ახალ-ახალ სამსახურს უწყევდნენ.

კვაპიმ თავიდანვე დიდი გავლენა დაიმსახურა თავ-
ის ტოლ-ამხანაგებში. ის რომ კლასში შევიდოდა, ან
ბუღალარზე გავიდიოდა, მაშინვე მის გარშემო დიდი ჯგუ-
ფი შესდგებოდა ხოლმე. ნაცნობი და ამაჰანაგები ისე ეხ-
ვიოდნენ ვარშემო, როგორც ბუზი თავუსს. მას ყველა-
სთვის და ყოველთვის ჰქონდა დამზადებული შესფერი
სიტყვა, აზრი, ღიმილი, რჩევა და დაროგება. მრავალნაი-
რი გაუგებრობის მოგვარებდა, წერტილმანი შეხლა-შემოხ-
ლის მოწყობისგება, და ნოსწყვეტ-მასწყველებელთა შორის
შუამავლობა მისი ხელობა იყო. ყველანი ამობდნენ:

— კვაპის რომ შრომა უყვარდეს, დიდი მომავალი
ექნებოდა.

— ისედაც დიდი კაცი გამოვა. დაიხსოვთ ჩემი
სიტყვა—უმატებდნენ სხვები.

VI

ბულე შოლიას სამიკიტრო ბალახანის ქუჩაზე ჰქონ-
და, ხოლო ბინა—იმავე სახლის ეზოში. კვაპიკო ამ სამი-
კიტროში ხშირად დაძებოდა, ზოგჯერ დახლში და
წვრილმანშიაც ჰშველოდა, ცალკე კაბინეტებში იქცე-
ბოდა, ყველაურს ყურს უგდებდა, ავირდებოდა, ითვი-
სებდა და გამოცდილებას იღესავდა. ამიტომ მოხდა, რომ
შოლიას სამიკიტრო კვაპისთვის ცხოვრების ნამდივლ სკო-
ლად გაიქცა. მან, ათიოდე წლისამ აქ იმდენი გაიგო,
ნახა და შეითვის-შეისწავლა, რომ სხვას, ოცი წლის ჰა-
ბუქსაც, არც უნახავს, არც გამოუტყია.

ბულე შოლიას ჰყავდა ახალგაზრდა ცოლი, სახელად
ცვირი, რომელიც კვაპის ისე ზრდიდა და უფლიდა, როგორც
საკუთარ შვილს, რადგან ჰქვიანი და ლამაზი კვაპიკო
მართლა შეილივით უყვარდა. ცვირიმ ეს უცხო ბავშვი ისე
შეითვისა და შეიზარდა, რომ მას თვითონვე გააბანებდა
ხოლმე მაშინაც კი, როცა კვაპიკო ცამეტ-თთხმეტი წლი-
სა გახდა.

კვაპის საკუთარი პაწაწინა ოთახი ჰქონდა. მისი

ოთახი და საერთო დიდი ოთახი თხელი ფიკრულით იყო გადაღობილი. ამიტომ ორივე ოთახში ისმოდა ყოველი სიტყვა, კრაპუნნი და ფუსფუსი.

ბულუ შოლია თავის დახსნა იშვიათად პორობდებოდა. იმ საღამოს კვაკი ბულვარიდან დაბრუნდა, ცოტაოდენი გადიკობა და დაწვა. ცვირიმ კვაკიკოს ოთახში რაღაც მიაღა-გოლაგა, მერე ლამუა ჩაუჭიო, სიბნელეში ტახტზე ჩამოუჯდა კვაკის და ხუმრობა დაუწყო. ეს ხუმრობა ისე გათავდა, როგორც უნდა გათავებულყო: ცვირიმ კვაკის ისეთი რამ ასწავლა, რაც კვაკიმ წინადაც იცოდა, მაგრამ საკუთარ თავზე ჯერ სავსებით ნაცად-ნავრძნობი არ ჰქონდა ნამდვილ დედაკაცთან.

ბულუ შოლია ბებერი და ავადმყოფი იყო, ამიტომ ცვირიმ იმ ღამეს მეორე მუღმივი მამალი იშოვნა, ხოლო კვაკიკომ—პირველი ნამდვილი დედალი.

რას იფიქრებდა მამის ცვირი, რომ თუ იგი კვაკიკოსთვის პირველი მასწავლებელი იყო, მისი მეზობლის ქალიშვილი ვარა—კვაკის ტოლი—უკვე რამდენიმე წლის წინად კვაკიკომ ვარად გაიხანდა.

მეორე დღიდან ცვირიმ ალერსი და მზრუნველობა გაათქცა და კვაკიკოს ჩუმიდ ხელში ვერცხლის მანეთიანი ჩაუღო, თან ჩასწურაწულა:

—გენაცავლე ამ ხელგმში. იყიდე რამე, მაგრამ სიტყვა არსად დაძძრა, თორემ ორიენი დაეიღუბებთ.

გაფრთხილება საჭირო არ იყო. კვაკიკო ისედაც გაჩუმდებოდა ამ მანეთის შესახებ, თუმცა დანარჩენის გაჩუმებაზე არც კვაკი და არც მისი ამხანაგები ნიძლიავედ ერთმანეთსაც არ დასდებდნენ.

ასე იშოვნა კვაკი კვაჭანტირაქემ საკუთარის ოფლითა და შრომით პირველი მანეთი.

ის მანეთი ტებილი, ადილი და მსუბუქი გამოდგა. რაკი კვაკიმ გზა გაიკვლია და ერთხელ იგემა ასე ნაშოვნი მანეთიანი, პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს—მესამე, მესამეს—მეოთხე. ცვირი მალე დარწმუნდა, რომ საკუთარი მამლის გაზრდა და შენახვა

ძალიან ძვირი ჯდებოდა, მაგრამ გვიანდა იყო სინამდვილე და თითზე კენიანი. ცვირის ძილი გაუფრთხა და სულის მშვილობა დაეკარგა, რადგან მისი მამალი დაუდევარი და გაუმძღარი გამოდგა: ჰამით ცვირის ნაცემას სჯამდა, ხოლო იმავ დროს სხვა ეზოებშიაც და დდილიდა სხვა დედლებსაც მამლობას უწევდა. ასე ფიქრობდა და ასე უსაყედლებდა ცვირი კვაკიკოს.


მაგრამ ცვირი ისევ სცდებოდა: სხვების საქათმეშიც ეყარა ვერცხლის და ოქრის ნაკმაში. ჯობრი და ქიშპობა ძნელი იყო და მეტად ძვირიც ჯდებოდა, ამიტომ ცვირიმ კვაკის დასაკუთრებაზე მალე ხელი აიღო და თავის ბედს შეურყვია.

ან რა უნდა ექმნა საწყალ ცვირის: ყველას თავის ჯრილი და თავის წილი ჰქონდა. ნასუფრალი არც ისე დასაძიხახისი ყოფილა, როგორც პირველად ეგონა ცვირის, ხოლო ამ ქვეყნად ღამას ვაეკაცსაც და დედაკაცსაც თურმე ისე ინაწილებენ ძლიერნი, როგორც სხვა ქონებას და ბედნიერებას. არც ერთის და არც მეორეს დაიწმენას ნურავინ იფიქრებდა და ნურავინ დაიქედნის.

სამიოდე წელიწადი კიდევ გავიდა. ცვირიმ რაღაც ალლი აიღო, შეშინდა და მეზობლის ვარიცა კვაკიკოს დროზე დააშორა. ცვირი მათ შორის გარდღეულ კედლად აიტუზა, ეჭვით აიღო და კვაკის უფრო მაგრად ჩაეჭიდა, თუმცა წინანდებურად ისევ ნასუფრალით იყვებებოდა.

მამლის შენახვა თანდათან ძვირდებოდა, რადგან კვაკიც იზრდებოდა და ფასს იღებდა. ამიტომ სხვებთან ჯიბრი და ქიშპობაც ძნელდებოდა.

ერთხელ ცვირის და კვაკის მცირედი უსიამოვნება მოუვიდათ. კვაკი აიძრიზა, აიღუწა. მან თუკადრისა ოფლით ნაშოვნი ფულის აღება და პირველად ავემინა ცვირისთვის სი ბასრი კლანჭები.



ცვირიმ გაიცინა და უთხრა:

— დიდი სულელი ყოფილხარ, ჩემო კვაკიკო, თუ ფიქრობ, რომ ამ ფულს საჩქერად გაძღვე. მე ყველაფერი ჩაწერილი მაქვს. სესხად გაძღვე. სწავლას გაათავებ, ფულს მოიგებ და დამიბრუნებ. ნუ ხარ ბაღანა, აიღე.

კვაკიმ მოიფიქრა და უპასუხა:

— საჩვენებელი დაგიბრუნებ. თუ თანახმა ხარ...


თბილისის ახალი ტრამვაის ხაზი სასაკლავოსკენ.

— აბა, უსარგებლოდ ფულს გავასესხებ?

ამაზე მორიდდნენ. ადამიანის გული ბნელია. ვინ იცის, გაახსენდა თუ არა სიმერემდის კვატი კვაპანტორაძეს, რომ მას ქალაქ ქუთაისში, ბაღახანის ქუჩაზე ოდესღაც ცვირი შოლიას ვალი დაედო. ის კი მართალია, რომ ცვირი შოლიას კვატზე დახარჯული ფული არასოდეს დაუთვლია, არც ჩაუწერია, არც ვალად ჩაუთვლია.

კვაჭი თავის ტოლ-ამხანაგებში არ მშალავდა, რომ მას ქალების ბაზარში მრავალი მუშტარი ჰყავდა, მაგრამ ფასის ფსახზე ლაპარაკი ერიდებოდა, მხოლოდ ზოგჯერ გაკვირვებით იტყობოდა ხოლმე.

— ქალზე ფულს მხოლოდ გივი ან მახინჯი ხარჯავს. ან კიდევ:



რკინის გზელთა კვირული. უფარგისი კედლის დანგრევა.

— ნასწავლს და ახალგაზრდა ქალიშვილებს მხოლოდ ტუტუტები და პოეტები დასდევნენ. ეს ქვეყანა სასევა გამოცდილი დედაკაცებათ. ხიფათიც ნაკლებია, თავისუფლებაც შეგჩრება, არც ბევრი დრო დაღვანარება, არც ფული. პირიქით, ზოგჯერ...

სიტყვა აღარ დასრულა. მხოლოდ ერთხელ, როცა სამი ბოთლი ყვიფიანური გამოსცალა, ასე ბუნდიღოვანდა და ირიბულად დაიფარა თვრამეტეი წლის კვაჭიმ თვისი ამხანაგებო:

— ქვეა მოიკრიბეთ, ცხოვრებას დააკვირდით, ყველაფერი ასწონ-დასწონით და გაზომეთ. არ მესმის, ქალმა ისე როგორ უნდა გამაგეოს და გამბიტაცოს, რომ გონება დაეჯარო და ხუთმეტეი წლის კაროგან შეეცრი ჩემი თავისუფლება, ახალგაზრდობა, მონაგალი და სიკაცობა. ჩემს დროში არა წლის ბაღანამაც იცის, რომ ქალი წუთიერი სიამოვნებისთვის არის გაჩენილი. მიიღე მისგან რაც მისაღები გაქვს, მერე, თუ გინდა, მაღლობა უთხარი და წადი შენი გზით, თუ თანასწორობაა—ყველაფერში თანასწორობა უნდა იყოს. რათ უნდა ვათირო ზურგით ოჯი და ორმოცი წელიწადი ვიღაც სონია, ან ვარია, ან მარუსია? ორივემ ვისიამოვნეთ, მერე ორივენი ჩემნი გზით წავიდეთ, მორჩა და გათავდა! მეტსაც მოვახსენებთ: ცხოვრება ბრძოლაა. რასაც წაჭაღლეჯ—შენია, რაც არა—დაკარგულია. ზოგს დედაცეს გარდა იმისა, რაც ყველა ქალს აქვს, ზოგი რამ კიდევ მოეპოვება. ქვეყანი კაცს დედაკაცს ძირიან-ფესვიანად ამოსწორავს და თვითონ მოაჯდება მას ზურგზე, ვინაიდან—დამიჯერეთ, სხვის ზიდვას მე მირჩევნია სხვამ შვილდს. ასეა ეს ქვეყანა მონარ-თული. ვისაც თვალი აქვს—ღანდრებს, ვისაც ყური აქვს—

—გაიგონებს, ვისაც ტვინი აქვს—ამ ქეშმარიტებას შეგაგონებს, შეითვისებს და გამოიყენებს.

VII.

კვაჭიმ თანდათან მიუღია ქუთაისი ვაიციწო და შესისწავლა. ქუთაისმაც მალე შეაშინა და გამოარჩია ლამაზი, ნიჭიერი, ქვეყანი, მხიარული, ხეჩბინი და ხელმარლი ჰაბუჭო, რომელსაც ყველანი და ყველაფერი ჰპირდებოდნენ დიდს დაწინაურებას და ბრწყინვალე მოხადას. თითქმის ყველა ოჯახის კარები ღია იყო კვაჭისთვის, რომელსაც ხელთ ჰქონდა თოლისმა სამ დღემ გაშინაურებისა, ყველანა ნათესავების აღმოჩენისა, ყველას შეეყარება—ღამევობობისა და გამხიარულებისა.

კვაჭი ჯერ თავის ტოლ-ამხანაგებს აჰყვა. ისე დასეირნობდა ვოკოურაში, სალორაში, ჰომში და საფიხინის სასულაოზე, როგორც საკუთარ ბაღში, სამტრედიასში რომ ჰქონდა, ხონის გზის ნაპირზე. ნელ-ნელა დღეებმაც შეეჩვია. ჯერ მიყრუებულ სამიკრტონებში დადიოდა, სადაც გიმნაზიის შედამხედველი ან პოლიციელი არ შეეჭებოდნენ, მერე უფროსმა ამხანაგებმაც ჩიარეს და უკეთესი ადგილები აჩვენეს.

ჩვიდმეტ—თვრამეტ წლისა რომ გახდა, ერთი საფეხურით კიდევ აიწია: ახალგაზრდა მოქცივე თვად-ამხაურებმა კვაჭი კვანჭატორაძე თავიანთ წრეში მიიღეს და პირველად „ნოეს ვაზში“ გამოსცადეს.

კვაჭიმ ეს გამოცდა ბრწყინვალედ გაიარა და არც მსამში, არც ცეკვა-ამაშში, არც სიმღერაში არავის დაუვარდა. იქიდან გადავიდნენ ლაითაძის დღეებში, ხონის გზაზე, სადაც თამადა და მასპინძელმა ნიშნად მონათესავსა და დამომობლების კვაჭის ერთი ხელადა ღვინო დაასხეს თავზე და შესუქნებლივ სამბოთლიანი ჯიხვი დააღვიწეს. დილაშდის იქეთფეს ჩვეულებრივი ქართული ქეთფით: დილია ხუთი ევდრო ღვინო, შეუქანა უთვალავი სანოვავი, ორჯერ მეტი დალივარა და გაიქვდა, დამიტერა მრავალი ჭურჭელი და დაიცხრილა ზეცა რევოლვერების ბათქაბუთით. დილით შვიდი გაღვიწილი შეუქანაბრა თუთუმეტე ეტლით დაბრუნდა ქალაქში, ხოლო სიაღამე და მეორე დღესაც ქეთფი და კვაჭის ნათლობა განაგრძეს ჯერ „ლევში“ და „ბორჯომში“, მერე სალორაზე, გაბერილ და ჩასუქებულ ცრემლებთან, რომელსაც კვაჭი იმავ საღამოს დაუმეგობრდა, რადგან მათ შორის სულიერი და ხორციული ნათესაობა აღმოჩნდა.

შუა ქეთფში ვიღაც ოფიცერი და მიხედვით ეტლით მოადგნენ დღეებს, თან ორი ქალი მოიყვანეს. ერთი ქალი კვაჭის მახლობელი გამოდგა. ერთმანეთს თვალი ჩაუტარეს, გაუტინეს და ორიიღე სიტყვა გადუსრულეს. ოფიცერმა იწყინა. კვაჭის თვადი დალიანი წყასარჩლა. შეჰყვენ, შეკამათდნ და მიწე-მიწისე. კვაჭი საღდაც გაქრა. იძრეს ხანჯლები და რევოლვერები. ასტყდა წვილი-კვილი და აღოქათით. დღეებსა და მედღეებს პატროსან სახელს ხიფათი მოეღოდა, ამიტომ ერემომ „შესაფერი ზომიბე“ მიიღო და თავის სახელი დამეცა, რასაც წარდგად მოჰყვა ოფიცრის განიარაღება, ხოლო მიხედვს ორი კბილი დააკლდა. როცა ყველაფერი გათავდა, კვაჭი მხოლოდ მამის დაუმეგობრდა. ყველამ პირობა დასდეს, თუ საქმე გამოამყარავდა, კვაჭი არ გამოვამჩნოთო, რადგან მოსწავლე კვაჭის მეტი ხიფათი მოელოსო.

საქმე გამოამყარავდა. ასტყდა მითქმა—მოთქმა, გამოკითხვა, გამოძიება და კალმების წერიანი. კორიცი



პროლეტარული მხატვრობა

I კმე კოლეც



პროლეტარული მხატვარი კმე კოლეც.

კმე კოლეც გერმანელი მხატვარია. დაიბადა 1867 წ. კენსბერგში. მამა მისი იყო წვრილი მოხელე, მაგრამ მთელი თავისი ბუნებით წმინდა მუშა და მოძულე მოხელეობის და ბიუროკრატის, ზნე და ყოველივე ის რაც ახასიათებდა მამას შთამომავლობით გადაეცა კეტეს, იგი დაუახლოვდა მუშათა კლასს, მათ ვინც მთელ თავის ცხოვრებას ტანჯვასა და გოდებაში ატარებდა ექსპლოატაციის უღლის ქვეშ. მხატვრის თავისი ნიჭი დიდი ხანია გამოიჩინა, მაგრამ სახელი გაითქვა შედარებით უფრო გვიან. ესლა კეტე კოლეც სდგას გერმანიის გამოჩენილ მხატვართა რიგში, და როგორც მხატვარს კლასობრივს, არა ჰყავს სწორი.

კეტეს შემოქმედებაში უმთავრესად თავი მოიყარა პროლეტარიატის აჯანყებულ ცხოვრების მომენტებმა; მის შემოქმედებაში ვერ ნახავთ გადაჭარბებულ სანტიმენტალიზმს, რომანტიზმს და ფანტაზიას, მისი სახეები რეალურია, ამოღებული რეკონსტრუქციონერ ბრძოლის მომენტებიდან.

აქ ვერ შეხვდებით უსაქმო სახეებს, მელანქოლიურ პოზებს. აღმზიანები და საგნები მის ფურცლებზე ატარებენ მელვარე, მხეცურ გამომეტყველებას.

კოლეცს თავის ფანქრის განკარგულებაში აქვს მხოლოდ მომენტები ბუნტარული, საზიანიელი უბედურების.

ურყევი რევოლუციონერია ყველა თავის ფურცლებზე, საიდანაც მოისმის ხმა სასტიკი პროტესტის, არცხულ წყობილებასთან შეურთივებლობის.



კმე კოლეც ეპიზოდი გლეხთა აჯანყებისა საფრანგეთში XV საუკუნეში.



კმე კოლეც—მელი პარიზის კომუნარების

კმე კოლეც მხატვარია მუშათა რევოლუციის იმ პერიოდისა სადაც ხდება წინსწარი ბრძოლა, და იგი ატარებს თავის შემოქმედებაში ყველა ხატებს ასეთი ბრძოლისას.

პ. კ.

მოუგონეს: ვითომ კვაკი მომწყობი იყო ქალაღის თამაშისა, ვითომ ჩაწყობილი ქალაღლით დიდი ფული მოუგო თავის ამხანაგებს, ვითომ სერიოჲა ლონღუს ფული დასტყუა, ვითომ რალაც ყალბი საბუთებიც შეადგინა, და კიდევ რამდენიმე ზღაპარი და ცილისწამება, მოჭორილი შურიანი ამხანაგების მიერ.

კვაკის ბედი ბეწვეც კიდა. მაგრამ მოსტყუდენ ბოკაულიც, გამოძიებელიც და დირექტორიც. კვაკის ისეთი იღუმალი მჭირველები აღმოუჩნდენ, რომ ყველამ უკან დაიხია. ერთი მხრით წაჩრინებულ დედაკაცები ფუსფუსებდენ, მეორე მხრით—გაგულნიანი „საზოგადო მოღვაწენი,“ ხოლო ცვირბ წელზე ფეხი დაიდგა და ერთბაშად მეტად დიდი „სესხი“ მისცა კვაკის.

ბოლოს, რა თქმა უნდა, კვაკიმ ვაიმარჯვე. რით და როგორ გადუხადა კვაკი კვაკანტორაქემ მადლობა თავის მჭირველ დედაკაცებს—არაინი იცის, რაც შეეცემა

„საზოგადო მოღვაწეებს“—ამის შესახებ ორიოდ ცნობა მოიპოვება.

VIII.

უკანასკნელ ხანებში ქუთისის რალაც ცეცხლი ეკიდებოდა, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა. ხალხი ღელავდა, შუთოვდა, ეჩინანობდა. კვაკის ამხანაგები იკრიბებოდნენ, მსჯელობდნენ ჯგუფებს აღვენდნენ და საომრად ემზადებოდნენ. ბეერნი ცლილობდნენ კვაკის ჩათრევას, მაგრამ კვაკის კარგად ახსოვდა სილიბისტროს სიტყვები, რომელმაც იმ წელს სამტრედიამო კვაკი ასე დაარაგა.

— შეილო კვაკი! ალბათ შენც იცი, რომ ქვეყანა გაღარიბა და გაგვიდა. უნდათ მოსპობთ თვადანხანაურობა, დაანგრიონ მეუფის ტახტი და მთავრობა. ლაპარაკობენ; მემამულეს მისწები უნდა ჩამოეგართათო, მიღლარი და ღარიბი გავათანასწოროთო, მძობა-ერთობა დაეამყაროთო, თა-



ვისუფლება მოვიპოვითო. შეილო, ქუთთ იყავი. არ დაკარგო აზნაურობა და ქონება, რომელც დიდი შრომით და ტანჯვით მაქვს შეძენილი. ვახსოვდენ—მეფეს და მთავრობას ეგენი ვერ მოერევინა. ნახევარი ციხეში დაღუპება, ნახევარი ციხიბირში გაიყინება. თუ ქუთა გაქვს და დედამა გიყვარს, ფიცი უნდა მომცე, რომ არაფერში ჩაერევი და არ შემარცხენ.

კვაჭიმ ფიცი მისცა და სიტყვის დიდხანს მტკიცედ ინახავდა. მაგრამ მდგომარეობა შეიქმნა შეგნებასო. საბოლოოდ გამარჯვება ვის შერჩებოდა—ეს კვაჭიმ არ იცოდა, მაგრამ იმას კი ნათლად და ცხადად ჰხედავდა, რომ დღითი დღე ძალთა განწყობილება იცვლებოდა: მთავრობა და გინწახის ადმინისტრაცია უკან იხევედნ და სუსტდებოდნენ, ხოლო ხალხი წინ მიიწევედა და ძლიერდებოდა. კვაჭი მაინც რყევამ იყო, ქანაობდა, ჯამბაზივით ივრიბებოდა, ორივეს ეპოტინებოდა და არც მწუვად სწვამდა, არც შიშდებოდა.

ვინ იქნის როგორ გათავებდებოდა ასეთი ჯამბაზობა, რომ ერემოს ღუქანში მომხდარი ამბავი არ მომხდებოდა.



თბილისის ობსერვატორია.

ჩიყო და იმავ დროს კვაჭის იღუბალ მტრებს მსაქმ მახლ სახიზლარი ჭორები და ზღაპრები. დაყოვნებულად დღებელი იყო. კვაჭიმ შესაფერი ნაბიჯები გადასდგამ რამდენჯერმე საიდუმლო კრებებს დაესწრო და თვის ორატორული უნარი სცადა.

აქაც კვაჭიმ დიდი ნიჭი გამოიჩინა. მას აღმოაჩნდა ცეცხლი, პათოსი, რიხი, უნარი მსმენელისა და თავის თავის გატაცებისა, აღზნებისა, აღმოაფრენისა.

საქმე ადვილად და მალე ვაკეთდა. ერთ კვირაში კვაჭიმ მთელი ქუთაისი ალაპარაკა. მაგრამ ასეთი აზმასურება კვაჭის არც ძალიან მოეწონა. უნებურად კვაჭიმ გადააპარბა და ყელამდის შესტრბა. ეს ძალიან სახიფათო იყო, ამიტომ მან რამდენიმე შესაფერი ნაბიჯი გადმოსდგა მეორე ბაშაქში, და როცა ატეხილი საქმე მოასპობინა და მტრებს პირში ბურთი ჩასწარა, კვაჭიმ სრული სწორწონობა მოიპოვა: ის წელამდის ერთ ბანაკში იდგა, წელ ზევით—მეორემ.

კვაჭი კვაჭანტირამე ბუბერი თუთიყუშოვით ხარხახზე იჯდა, მარცხნივ და მარჯვნივ ქანაობდა და იმეორებდა:

— არც მარჯვნივ, არც მარცხნივ... არც აქეთ, არც იქით... შენც მინდობარ, შენც მიყვარხარ.

კვაჭის ჩარევას პოლიტიკაში კიდევ ერთი მოულოდნელი შედეგი მოჰყვა.

ერთხელ ცნობილმა და პატიცემულმა კოლაკაძემ ვაქმე კვაჭის ჰკითხა:

- კაროპულოს ოჯახს იცნობ?
- ვიცნობ.

— შენ და კაროპულოს ვაქი კობრიანე მკონი მეგობრები ხართ, არა?

— კარგი მეგობრები ვართ.

ამის შემდეგ კვაჭი და არევაძე რამდენჯერმე შეხვედნენ ერთმანეთს და განმარტოვებია ჩურჩულდებოდნენ.

კვაჭიმ კაროპულოს ოჯახში სიარულს მოუხშირა. კაროპულო ბერძენი იყო, შვიკეის მრეწველი, ნახევარზე მეტს ქუთათურაში სცხოვრობდა, ხოლო მისი ოჯახი ქუთაისში ბინადრობდა, რადგან შვიკეს გინწახაში ზრდიდა. მისი უფროსი ვაქი კობრიანე კლასში კვაჭის ვეერლით უჯდა. აქედან დაიწყო მათი მეგობრობა.

კვაჭი და კობრიანე ხშირად დადიოდნენ ბულვარზე, თეატრში, საფიზიაზე, სალორიაზე, ქომამში და სხვა სასიერიო და ვასართობებზე. უკანასკნელ ხანებში კვაჭი ძალიან ცდილობდა კობრიანეს ჩათრევას ქალაქის თამაშში, ქალბებთან სიარულში და ქეიფში, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან კობრიანე თავის მამის შვილი იყო.

წინა დღეს არევაძემ და კვაჭიმ ერთად იგახშმეს. ორივენი აღუვებულნი და აფიცებულნი იყვნენ.

კვაჭიმ უთხრა:


- მაშ ასე: მე შენა გარდა არავის ვიცნობ.
- არავის. არც სხვა ვინმე ვიცნობს.
- მაშ ყველაფერი გათავებულა?
- გათავებულა. მეათედი შენია.

— კეთილი და პატიოსანი, თუმცა მეტი მერგება, მაგრამ რადგან საქვეყნო საქმეა, თანხმა ვარ.

გვემა ხომ კარვად ვაიგე? ხომ არაფერი ავერევა? შეხინდლ იყავით. სწორედ ათ საათზე იქ ვიქნებით. ყველაფერი მზათ არის.

— მაშ მშვიდობით.

გამარჯვებით.



თბილისის ობსერვატორია. დიდი ტელესკოპი.

მეორე დღეს კვირა იყო. კვაჭი და კობრიანე, სონია ხვიჩია და მარუსია ჩაღიმე წინა დღეს შეთანხმდნენ, რომ კვირა დღეს სალორას ტყეში პიკნიკს გამართავდნენ. სწორედ ათ საათზე ოთხივენი ერთად უნდა წასულიყვნენ ექლით. კობრიანე სონია ხვიჩიასგან ცეცხლმოკიდებული იყო, ამიტომ მოუთმენლად ელოდა გათენებას.

ასეთი იყო მორიგება, მაგრამ მეორე დღეს კვაჭიმ უთხრა კიპრიანეს;

— წუხელი სხეებზე შემოგვიერთდნენ. ყველანი წავიდნენ. მე და შენ ერთად მივდივართ. სხეები იქ დაგვხვდებიან.

ორივენი ეტლში ჩასხდნენ და წავიდნენ. ერემოს დუქანთან ეტლი გაისტუმრეს. კვაჭი ამბობდა:

— აქეთ წავიდეთ... იქ დაგვიხვდებიან... აი აქ იქნებიან.

მიდიოდნენ და ეძებდნენ.

ტყეში ოთხ უტნობს წააწყდნენ. ოთხივენი უცებ კვაჭის და კიპრიანეს შემოეხვივნენ. ოთხივეს ხელში რევოლვერებმა გაივლეს.

— ხმა, კრინტი! ხელი არ გაანძრიოთ, თორემ გაგათავებთ! მოგვეყვიეთ!

კვაჭიმ ბუჩქებისკენ ისეუბა, მაგრამ რკინის ხელი მას კისერში დასწვდა. ასტყდა ჭიდილი, ზღლარძენი და ბრძოლა ორთა შორის. კვაჭი გაუსხლტა აეაზას და ბუჩქებში შეერია. დიდხანს ირბინეს. ბოლოს ერთმანეთი დაკარგეს.

კვაჭის ტყეში გზა აერია. დიდხანს იხეტიალა და ორი საათის შემდეგ გააქარული, დაბლრეძილი და უქულო ერემოს დუქანს მიადგა. სწორედ ამავე ხანებში გაემოჩნდნენ სონია, მარუსია და სხვებიც. აღმოჩნდა, რომ კვაჭის კარგად ვერ გაეყო შეხვედრის ადგილი და სხვა მიმართულებით წაეყვანა კიპრიანე.

შეიქნა ჩოჩქოლი, აყალმაყალი, სირბილი და ძებნა დაკარგული კიპრიანესი.

გავიდა რამდენიმე დღე. კაროპულოს ოჯახში ისმოდა წვილ-კივილი, ტირილი და გლოვა. კვაჭი თმას იგლეჯდა, თავში ხელს იცემდა, სწუხდა, „ჭრილობას“ ირჩენდა კაროპულოს ოჯახს თავს დასტრიალებდა.

ბოლოს მოხუცმა კაროპულომ ორსიტყვიანი უმათუჯლო დებეშა მიიღო:

- ოცი ათასი.
- ისევ ორი სიტყვით უპასუხა:
- ხუთი ათასი.
- ხუთმეტრი.
- ათი.

გათავებულნი!

მორიგდნენ და გაათავეს:

კიპრიანე კაროპულო ქუთაისში აღარავის უნახავს.

ერთი თვის შემდეგ კაროპულოს მალაროები ^{კაროპულოს} ხელში ვადავიდა, ხოლო კაროპულო თავის ოჯახით გემზე ავიდა და სტამბოლისკენ გატურდა.

მხოლოდ გემზე ამოიღეს ხმა კიპრიანემ და მისმა დედამამა.

კვაჭი კვაჭანტირაძემ ბინა გამოიცვალა, ეტლი თვითურად დაიქირავა, ჩოხა-ახალუხი იყიდა, იარაღში ჩაჯდა, დედამა გაახარა და მტერს თვავი დაუყენა.

ნეტა დაიჯერა ოდესმე კვაჭი კვაჭანტირაძემ, რომ მან და მისმა აზნაუბებმა იმ ზაფხულში სალორის ტყეში „საქვიერო“ საქმე გააკეთეს? ვინ იცის.

მ. ადამაშვილი



ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლი სოფ. სტეფანწმინდაში.




ნახაზი დ. ქუთათელაძისა.



სანდრო ყაზბეგის მხარეს.

წელს ზაფხულში შემთხვევა მომეცა მემოგზაურა მითიულეთით ხევში, განსაკუთრებით ალ. ყაზბეგის სოფლამდის და იქიდან მყინვართ წვერზე და ამისათვის რამოდენიმე სურათის გადმოსაცემით ვეკლები აღვადგინო ის მოგონებანი, რომელნიც სანდროს შესახებ სუფევს დღესაც მოხვედრებში და ხევში—რომელიც ისე ლამაზით აქვს აღწერილი თვით ყაზბეგს.

სამეცნიერო ექსპედიცია პროფ. ა. დიდებულძის მეთაურობით გასული 26 ავისტოს იმავე დღეს შეიჭრა მითიულეთში ფასანაურით და მხოლოდ მეორე დღეს მოხიბულეთი მითიულეთის სიმშენიერთი, აღიოდა მღვითთ კიხიურის ველზე, საიდანაც ლამაზად მოსანდა ცნობილი ლომისა—ძველი მონასტერი, ქართული ისტორიული ნაშთი, რომელთანაც დაკავშირებულია მითიულეთის მრავალი ტრადიციები. გამაყურე ლომისის მონასტრისაკენ მივემართეთნოდით ნელნელა ცეცხლის ჯვარის ციხის მა-



გელსია სოფ. სტეფანწმინდაში ჭრომლის გალავანშიც დასაფლავებულა ა. ყაზბეგი.

ხლოზად, რომელიც კიხიურის ველს გულაურის მიდამოებში ისე ამყარდ დაჰყურებს და ამცნებს იმ რაინდულ წარსულს, როდესაც მითიულეთი ვეჯაკურის სიმბნევიო მუღამ მზად იყო მოეგერიებია მტერი.

დილის 9 საათზე 27 ავისტოს ასულნი გულაურის უღელტეხილზე, სადაც სიმაღლე 2332 მეტრს უდრის და ჰაერწნევა 570 მილიმეტრს, დავეშვიო ხევისაკენ. მიხვეულ მოხვეულებით ნელი ნელ ქვევით ზივიწყდით. ალავ ილავ ჩამომაველ ხევებში ძველი დარჩენილი თოვლი ჩვენს გაკვირვებას იწვევდა; აგრეთვე ხელოვნური გვირაბები, რომელნიც უნდა გავგვიარა უქვევლად. მასთანავე მქვევარე მოწითალო წყაროები—ეს სამკურნალო რკინის წყალი, რომელიც 30 ეგრისის მანძილზე თვით სტეფანწმინდამდე სისხლისფრად ფერავენ თერგის ნაპირებს. აღტაცება ჩენი უშეგერვალესობას აღწევს, როდესაც მთების უკან გამოჩნდება თეთრად ბრწყინვალე ხევის პატარაბლიო—მყინვარწვერი. თერგის ორივე მხარეს კლდეებზე ამაართული მოხვევთა სოფლები კოშკებით და მათ შემდეგ ქვენეთის მთის ძირში გერგვტი, მის პირდაპირ კი სტეფანწმინდა—თერგის მარჯვენა მხარეს, ოთხსაკომლიანი სოფელი, ცნობილი სტეფანწმინდა, სანდრო ყაზბეგის სამ-

შობლო, სადაც ირწუოდა მისი აკვანი, საიდანაც სტეფანწმინდაში მოხვევებით ერთად დადიოდა მთაში, სადაც მეცხვარობაში ეცნობოდა ის მეცხვარეთა ყოფა ცხოვრებას. თვითმპყრობელობის მეფური სუსხი მწვევით ხვდებოდა მოხვევებს, რომელთაც ცხვარის გაყვანა შემოდგომისს უხდებოდათ ჩრდილო კავკასიაში, საჩაჩნოში, ყაზახებში. სანდრო ყაზბეგი კი იყო ასეთ შემთხვევაში ის აღმინანი, მოხვევს ნამდვილი მეგობარი, ხევის შრომის შეილია მოამაგი, რომელიც ესარჩლეოდა და დიდ დახმარებას უწევდა მათ ამ შემთხვევებში, როდესაც ხელმწიფის ერთგული მოსამსახურე ოფიცრებ-უფროსების მიერ პირდაპირ აკლემული და შევიწროებული იყო დარიალის ხეობაში გავლის დროს მოხვევთა მეცხვარეები.

ამის უნდა მივაწყოთ ის მოვლენა, რომ დღესაც ხევში დიდი თუ პატარა ისე არ ასხენებს სანდრო ყაზბეგის სახელს თუ არა ჩვენნი სანდროა. აღსანიშნავია უქვევლად ის რომ ყაზბეგის გვირუგობიდან მსოლოდ სანდროს სახელი ძლიერ მჭიდროთაა დაკავშირებული ხალხის მოგონებებთან, ხალხის გულთან.

თვით სტეფანწმინდა—ეს სოფელი, რომელიც ხევში ერთი უდიდესი სოფელთაგანია—ყოველთვის თავის გადმოცემებში გვაძლევს ჩვენ იმ სურათს, სურათს წარსული ცხოვრებისას, როდესაც ხალხი ხალ შევიწროებას განიცდიდა. ლეკსი რომელიც დღემდის დაღმონია დარჩენილი და ახასიათებს ამ ხალხის გულისკვეთებას, რაც სოველ სტეფანწმინდის მოხვევებს შერჩენიათ დღემდე, უქვევლად ამის გამომახატველია.

ამბობენ სტეფან წმინდაი სოფელი არის გზისაო იმათი ბერი კაცები სუნდია ხელმწიფისაო გამოკლებ ახალგაზრდანი ანგელაზია ცისაო, მარდათ იციან მღვვარი წინაის მოვლა ხტისაო იმათ უჭირებთ სიმაგრე უჭრაიისი და ბცისაო ჩაჩან ვერ ესერის თოფსაო მაღლი ტრიალებს ღვთისაო. პირველად გავაკვირებთ მისულთ სოფელ სტეფანწმინდაში—მარმარილოდან გამონაკეთული სანდრო ყაზბე-



ა. ყაზბეგის სამშობლო მყინვართ წვერი და მყინვართ ორწვერი.

გის ძეგლი, რომელსაც წარავითარიწმინდაწმინდას. ეს არაჩეულებრივია. შეიძლება ძეგლი, თვით სოფელი სტეფანწმინდა და მოხვეენი ჩვენ გვაძენებენ რომ ამ ძეგლის ქვეშ უნდა დასაფლავებული იყო სანდრო ყაზბეგი, ამას გრწმობთ იქ მისვლისას და შეკითხვაზე დარწმუნებები რომ მართლაც ეს სანდროს ძეგლია, მხოლოდ გაკვირება ჩენ

მიანც გვაჯალგებს ავხსნათ ასეთი თავისებურობა, რომელიც საერთოდ ეშინება მოლიანად მოხვევთა ცხოვრებას.

ქვენიეთის მთაზე სამების ეკლესიის დღესასწაულში მყოფი, როდესაც სანდრო ყაზბეგზე ჩამოვარდა ლაპარაკი შევეკითხე მოხვევებს, თუ რისთვის არის რომ სანდრო ყაზბეგის ძეგლს არავითარი წარწერა აქვს, რათა უცხო მოსულმა წაიკითხოს რომ ძეგლზე სანდროს სახელია დაწერილი.

ერთ მოხუც მოხვევემ კარგათ მიპასუხა ჩემს ვაკვირებებზე: „რა საჭიროა ძეგლზე მის სახელის წარწერა, სანდროს სახელი ხალხის ვულგეა წარწერილი და თუ უცხო ვინმე მოვა, მიანც ჩვენს ხალხს უნდა შეეკითხოს სანდროს შესახებ, ჩვენზე უკეთ ვინ აუხსნის მის შესახებ“.

ხშირად, მოხვევებში მოგზაურობის დროს, თუ კი მოხვევს ჩამოვლენ მის შესახებ ბაასი, თუ კი მოხუცი ვინ-

თი ხსენება ერთგვარ გულისწყრომას იწვევს მათში. მოხვევთა გადმოცემით ვიცით, რომ ვერც ერთი მოხვევე წერა ჩაივლიდა ყაზბეგების სასახლის წინ, თუ კი არ მოიხილდა და ქუდს და არ მოიხილდა თავს, მხოლოდ მხედარი უქვევლად ცხენიდან უნდა ჩამოსულიყო და ისე გაეტარებინა ცხენი. თვით სასახლე, რომელიც დღეს უპატრონოდ არის მიგდებული, არც მას ეკარება ხალხი, ვინაიდან დღესაც ბევრს ახსოვს ის წვალემა, რომელიც ხალხს მაშინ დასდგომა ღენერლებიდან. ღენერალ ყაზბეგის ბრძანების მიხედვით ხალხს სულ ზურგით ჩამოუტანია ქვა ყუროს მთიდან და ეს ყოველივე რასაკვირველია მხოლოდ ანაზღაურებულა მხოლოდ იმ მაძლობით, რომლითაც ძველად მათრახის სახით უმასპინძლებოდა მემამულე მშრომელ ხალხს.

სამაკვიროთ სანდრო ყაზბეგს, მის სახელს ხალხი შეტრფის. „ის იყო მხოლოდ ის, ჩვენი სანდრო, რომელიც მაშინ ხალხს ესარჩლებოდა, რის გამოც სანდრო თავიანთებს აგდებული ყავდათ“.

ამ მცირე წერილით ვერ გადმოვიცემა ყველაფერი ის დარჩენილი ცნობები, რომელიც მრავლად გაუანტულია მოხვევთა მოგონებებში, რომელიც ჩვენ ექსპედიციამაც საკმარისად შეავაროვა, მაგრამ ჩვენი ახალი და ახალი მოგზაურობანი სანდრო ყაზბეგის სამშობლოში მყინვართ-წვერის მიდამოებში ნათლად გადავაკვირდით სურათს იმ ადამიანისას, რომელიც ხალხის შვილი იყო, ხალხის ნამდვილი მოამაგე და მეუღბარი.

სოხო ახლანი შვილი.



აღ. ყაზბეგის სამშობლო. გზა სტეფანწმინდისაკენ.

მეა, მაშინათვე დაწვრალიებით მოგიყვება იმ სურათებს, რომელიც მეცხვარეობის დროს შეხვედრია სანდრო ყაზბეგთან ერთად.

როდესაც სამეცნიერო ექსპედიციით გადავდიოდით დედნარაკის მყინვარზე და გადავდიოდით ბართკორტის მთაზე, ჩვენი გამყოლი მარდი მოხუცი გახა წიკლაური გვინვენებდა იმ ადგილებს, სადაც მეცხვარეებთან ერთად სანდრო ყაზბეგს გაუტარებია თავის ცხოვრების ლამაზი წუთები.

„ის ნამდვილი ჩვენი კაცი იყო, იმან იცოდა ჩვენი ამბები, ჩვენი ჭირვარამი“. საერთოდ აღსანიშნავია რომ მოხვევები არასდროს ახსენებენ მის მშობლებს და ბიძებს, რომელნიც ისე აფაროვებდენ ხალხს, რომ ახლაც მა-



ლენის წურვა იმერეთში.





ჯონ რიდის როგანდნად „ათი ღღე, რაგან შესქრა კეპუნიერება“

რუსეთის რევოლუციის მოხდენას ხელ უწყობდნენ არა მარტო რუსები, არამედ შეჭონდათ თავისი ღვაწლი ციხათ თუ ბევრად ამერიკელებს, ფრანგებს, გერმანელებს და ინგლისელებს.

ამ „არა-რუსთა“ დივურებში მეტად შესამჩნევ აღგის იქერს ჯონ რიდი, რადგან იგი იყო ადამიანი იშვიათ ნიჭიერების, მოწოდებული და გაფუჭებული თავის ძალღონით.

რაღესაც ჰელსინგფორსიდან და რეველიდან პირველად მისი სიკვდილის ამბავი მოგვივიდა, ჩვენ ვიფიქრებთ, რომ ეს ამბავი სიტრუე იყო შეხანსლული და გამომცხვარი კონტრა-რევოლუციონერების ფაბრიკაში. მაგრამ მოსული ამბავი თანდათან მტკიცდებოდა, კერძოდ ლუიზა ბრანდტმა დადასტურა და ჩვენც იძულებული გაგზნდით, მიუხედავად ჩვენი სხვა მიედისა და მოლოდინისა, დავრწმუნებულყავით.

თუმც მას ციხეში საბუღამო დაპატიმრება ჰქონდა გარდაწყვეტილი და მოკვდა თავის ქვეყნიდან განდევნილი, მაგრამ ბურჟუაზიულ გახეიფებულ დაისტამბა წყრილები, რომლებიც ჯონ რიდს სათანადო აღგის მიუჩინდნენ როგორც მხატვარს და ადამიანს.

ბურჟუაზიულმა გულმა იგრძნო შექმულებებმა—აღარ იყო რიდი, რომ მათი საქმე სამართლი, სიტრუე და გაიძვერობა თავის შეუბრალებელს კალმით კვლავ გამოეშვარავენბინა.

ხოლო ამერიკის რადიკალურად მოახროვნე წრეს გული დასწყვეტა ჯონრიდის სიკვდილმა. სამძიმოა იმ ამხანაგებისთვის, რომელნიც ამერიკის სახლერების გარე სცხოვრობენ, გაიგონ და შევიგნონ ჯონრიდის სიკვდილით გამოიწვეული დათოლება. თავისთავად ცხადია, რუსები ბუნებრივად სთვლიან, ადამიანმა თავი დასდოს და დილუბოს იღვის გულისსათვის. ამიტომ აქ არავითარ სანტიმენტალობას ადგილი არა აქვს. რუსეთში ათასობით და ათათასობით შეეწირნო სოციალიზმს და დაიღუპნენ. ისეთი მსხვერპლი ამერიკაში მხოლოდ ზოგიერთებმა გაიღეს.

ჯონ რიდი პირველი იყო, რომელმაც თავი შესწირა კომუნისტურ რევოლუციას და მით იგი შეიქმნა მრავალთა წინასწარმეტყველი.

და მისი მეტეორული ყოფნა-არსებობის უეცარი და-სასრული შორეულ ბლოკად-შემორტყმულ რუსეთში გლოვის ზარვივით დევნათ ამერიკელ კომუნისტებს.

ერთად-ერთ ნუგეშად მის ძველ მეგობართათვის ის უნდა იყოს, რომ მისი ნეშტი არსებობს იმ ერთად ერთ ქვეყანაში, სადაც თვით მას სურდა ებრუნა საბუღამო განსვენება წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან. აქ, ჯერ დათმთავრებულ ძეგლზე, ეგრედ შესხატბილებული მის ხასიათთან გამოკვეთილია შემდეგი სიტყვები: დე-ლეგატი ჯონ რიდ III ანტერნაციონალისა.

1920 წ.

ა. რ. ვილიამს.

3. ლენინის წინასიტხამობა ჯონ რიდის წიგნისათვის

უღედესი გულხმვიერებით და დაუღალავი ყურადღებით წაიკითხე ჯონ რიდის წიგნი „ათი ღღე, რაგან

შესქრა კეპუნიერება“. სულითა და გულით ვურჩევ ყველა ქვეყნის მუშას წაიკითხოს ეს წიგნი. ვისურვებდი მენახოს იგი მილიონობით გავრცელებული და ყველა ენაზე გადათარგმნილი, რადგანაც ეს წიგნი იძლევა ჰუმანიტ და შეუდარებელი სიკაცხელი დაწერილ მოთხრობას აწ განვლულ ამბებისას, რასაც უაღრესი მნიშვნელობა აქვს იმის განსაზღვრად, თუ რა არის პროლეტარული რევოლუცია, რა არის პროლეტარატის დიქტატურა. დღეს ამ საკითხებზე გამო ფართო მსჯელობაა; ხოლო, ვიდრე მიიღებოდეს ან უარყოფილ იქნებოდეს ეს იდეები, წინასწარ საჭიროა იმ გადაწყვეტილების სრული შეგნება, რომლის მიღებაც განვალბებთ. ჯონ რიდის წიგნი, ექვს გარეშეა, დახმარება ყველას გამოარკვიოს ეს საკითხა და იგი ხომ მსოფლიო მუშათა მოძრაობის ძირითადი პრობლემაა.

გ ა გ ე დ ვ ი თ !

(ნაწყვეტი რომანიდან)

ხუთშაბათი, ნოემბრის 8, დილიდან ქალაქი საშინლად ღელავდა და ჰპორგავდა; სახელმწიფოს მთელი ცხოვრება ქარაშხალის ტალღებით ყალბე დგებოდა.

გარეგნულად თითქო ყველაფერი მშვიდად იყო. მრავალი ასი ათასი პეტროგრადალი აღრე მიეცა ძილს, აღრე ადგა დილით და ყველამ თავ-თავის სამუშაოზე გასწია. ქალაქში ტრამევი დაიდოდა, დაუნქნდა და რესტორანები ღია იყო, თეატრებში კვლავ წამოღიგნებნი იმართებოდა, პრესაში თავსდებოდა ხოლმე ცნობები სურათების ყველა ახალი გამოვერის შესახებ,—ყოველდღიური ხავე მოდებულ ი ცხოვრება, რომელსაც იმის დროსაც კი არ შეუცვლიათავისი ნირო, ჩვეულებრივად მიმდინარეობდა.

არაუფერი არ იწვევს ისეთ განციფრებას სოციალურბი ორგანიზმის ცხოვრებაში, როგორ ის, რომ ათას უზედღერბის ნაწილები და ურიცხვი ჯარით დედა-ქალაქისკენ მოემართებოდა. „ვოლია ნაროდა“-მ გამოაქვეყნა ბრძანება, რომელც კერენსკის ქ. ასკოვში გამოეშვა:

„ეუბრძანებს მთელ საკონკრეტო შედგენილობასა და კომისრებს—სახელმწიფოს დაკვისი და მშვიდობიანობისათვის—დაარჩენ თავთავიანთ ადგილზე, როგორც მე ვრჩები უშლელის მთავარსარღლად იმ დრომდე, ვიდრე რესპუბლიკის დროებითი მთავრობა არ განაცხადებს თავის ნებისყოფასა“...

ამის საპასუხოდ კვლევებზე გაკრული იყო შემდეგი პლაკატი:

„სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობისაკან.

ყოფილი მინისტრები კონვოლუცი, კიშკინი, ტერეშენკო, მალიანტოვიჩი, ნიკოტინი და სხვები დაპატიმრებულ არიან სახმედრო-რევოლუციონერული კომიტეტის მიერ. კერენსკი გაიქცა. არმიის ყველა ორგანიზაცია ვალდებულია ყოველნაირი ღონისძიება იხმაროს, რათა კერენსკი დაუყოვნებლივ იქნეს დაპატიმრებული და პეტროგრადს წარმოგზავნილი.

„ეინც კი კერენსკის რაიმე დახმარებას აღმოუჩენს



დაისჯება, როგორ უშიშმის სახელმწიფოებრივი დანაშაულისათვის”.

სამხედრო-რევოლუციონური კომიტეტი სადავო მიწებულ მებრძოლებს გაქანდა წინ; საშინელს სისწრაფით აბნევდა იგი ბრძანებებს, მოწოდებებს და დეკრეტებს, როგორც ნაპერკაკებს, ყველაფერს რომ ცეცხლს უწენს თავის გარშემო...

გაციემული იყო ბრძანება კორნილოვი პეტროგრადში ჩამოყვანათ. გლუხთა სადავლო-მამული კომიტეტების წევრნი, დროებითი მთავრობის მიერ დაპატიმრებულნი, განათავისუფლეს. ჯარში გაუქმებულ იქნა სიკვდილით დასჯა.

ჯარში ვიღაცეა მოწოდება საარმიო სამხედრო-რევოლუციონური კომიტეტების მოწოდების შესახებ.

რკინისგზებებს საბჭოთა მთავრობამ მიმართა წინადადებით მხარი დაეკრათ წესიერებისათვის და, განსაკუთრებით, არ შეეფერებინათ მსგელოება სასურსათო ტრანსპორტს, რაც იგზავნებოდა ქალაქებისა და ფრონტისათვის...

მეგობრებო—მეორეს მხრით—რას ნიშნავდა ეს ზღვა პროკლამაციები, ქალაქის ქუჩებში გაკრული, ხელიდან ხელში მორბული, ეს გავეზინებულნი და ქაღალდი დაცემული გაუთვებნი, წყველა-კრულავს რომ ანთხებდნენ და წინასწარმეტყველებდნენ ბოროტების გამარჯვებას! დაიწყო ბრძოლა სასტამბო დაზღვისა, რადგანაც ბრძოლის ყველა სხვა იარაღი უკვე საბჭოების ხელში იყო. რუსეთსა და ევროპაში გავერცელებული იქნა სამშობლოსა და რევოლუციის დახსნის კომიტეტის მოწოდებანი.

ხელს აწვირდა რუსების რესპუბლიკის საბჭო, პეტროგრადის ქალაქის საბჭო, პირველი ყრილობის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, გლუხთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტი და ფრონტის ჯგუფი, სოციალისტ რევოლუციონერთა, მეწვეიკეთა, სახალხო სოციალისტთა გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატთა და „ედინსტვო“-ს ჯგუფის მეორე ყრილობის ფრაქციები.

შემდეგ იყო მოწოდებანი სოც-რევოლუციონერთა პარტიისა, მეწვეიკ-ობორონცებისა; კვლავ და კვლავ — გლუხთა საბჭოებისა, ცენტრალური საარმიო კომიტეტისა, ცენტრალურთა...

ნიკოლოზის მაღალ ამფიტეატრად აღმართულ დარბაზში თვალყურს ვადევნებდი განუწყვეტელ სხდომას; ეს იყო სხდომა ქალაქის საბჭოს, რომელიც თავს უყრდა ოპოზიციის ყველა ძალას.

კადეტმა შინგარიოვმა მოითხოვა, რომ მუნიციპალური თვითმმართველობის ყველა მოსამსახურე, ვინც კი სახმედრო რევოლუციონური კომიტეტის კომისრობა იკისრა, დათხოვნილი ყოფილიყო საშსახურიდან და სამართალში მიცემული.

მქუხარე ტამისკეიმი შეხვდნენ ცნობას, რკინისგზოთა კავშირი დახსნის კომიტეტში შევიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ანალოგიური ცნობა მოხსნდა სხდომის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთაგან. შემდეგ დარბაზში შევიდა რამდენიმე მეწვეიკ ინტერნაციონალისტი, რომელთაც ტამი მიეგებნენ.

რკინისგზებმა განაცხადეს, რომ არ სცნობენ ბოლშევიკებს და რკინისგზის მიეული აპარატი თავის ხელში აიღოს, რადგანაც არ ანდობენ მას ხელისუფლების დამპყრობთ, ვინც უნდა იყვნენ ისინი. ტელეგრაფისტთა

დელეგატებმა განაცხადეს, რომ მათ კატეგორიულად უარყოფენ სიკვების იმუშაინ ტელეგრაფში ბოლშევიკ-კომისრების მეთვალყურეობით. არავითარი ფოსტა არ იქნება მტინალი და მიტეული სმოლინი... სმოლინის ყველა ტელეფონი გადაკრლიოა.

დიდის კმაყოფილობით თუწყობდნენ, თუ როგორ მისულიყო ურიკი ვარშე საქმეთა საინისტროში საილმლო ხელშეკრულმეთა მისაღმედ და როგორ „გამო-ვამხმინებ“ იგი ნერატოს. მთავრობის მოხელენი ყველანი სამუშაოს თავს ანებებენ.

ეს იყო ომი, —ომი, რომელიც შეგნებულად მზადდებოდა რუსულ ყაიდაზე... ომი გაფიციით და საბოტაჟით. საზოგადოება ძალიან ოპტიმისტურად იყო განწყობილი.

— რაო, რაო? — ბოლშევიკებს სურთ უკერანხონ ინტელიჯენციას ჩვენ უწყენებო მათ სერის!

განსაკარია კონტრასტი ამ კრებასა და საბჭოთა ყრილობას შორის: იქ მრავალრიცხოვანი ბრბო უხებრიოდ ჩაცმული ჯარისაკცებისა, გაკაყებული მუშებისა, გლენუბისა, ღირსი-ღატაკი ხალხისა, რომელიც წელში ვალენული თავის სახეზე ატარებდა არსებობისათვის გაწული მძიმე ბრძოლის ბლმა კვალს: ხოლო აქ—მეწვეიკებისა და ისერებლის გლდანის: ავქსენტიევი, დაქნი, ღლირე და სოციალისტი მინისტრები — სკოპლევი, ჩერნივი და სხვ. — გვერდით უხსდნენ კადეტებს, — როგორც იყო თასმასვით ოქნილი შაკი და თმა-ვადლოკილი ვინაიერა, — ეურნალისტებს, სტუდენტებს და ყველა წრის ინტელიგენტებს. თვითმმართველობის ეს ბრწყინვალე საზოგადოება კარავდა იყო ჩასუქებული და ჩაცმული. მათ წრეში მე შეენიშნე მხოლოდ სამიოდ პროლეტარია...

სმოდლო სულიერი განწყობლება უფრო მეტად გამწვავებული იყო, ვიდრე როდისმე. ბნელ ტალანებში ხალხი ისევ მიდი-მოიღოდა, მუშათა რაზმები თითებიანი, ხელმძღვანელნი სასეკ პორტეფლებით; მათ გარს ეხეოდნენ მეგობრები და თანაშემწენი, დავობდნენ, იძლეოდნენ ახსნა-განმარტებას და სასწრაფო ბრძანებებს. ხალხი უფილობისა და განუწყვეტელი მუშაობისაგან თავდავიწყებამდე იყო მისული. პირგაშპარსავნი, ანთეული თვალეობით, — დაულალავდ მუშაობდნენ დასახული მიზნის განსახორციელებლად. რამდენი რამ ჰქონდათ კიდევ ვასაკეთებელი, რამდენი რამ! მთავრობის შეწყობბა, ხელისუფლების ორგანიზაცია, გარნიზონის ხელში დატყობა, ქალაქის საბჭოსა და დახსნის კომიტეტთან ბრძოლა, გერმანულბის შეჩერება შოსის მანინეს, კერნისა წინააღმდეგ მიმზადება, მთელი რუსისათვის შეტყობინება და ახსნა იმისა, რაც მოხდა, პრაპავანდის წარმოება უზარმაზარ ტერიტორიაზე — არხანგელსკიდან ვლადივოსტოკამდე. და ია, სწორედ ასეთ დროს ხალხლმევიყო და ქალაქის მოსამსახურენი არ ემორჩილებოდნენ თავიანთ კომისრებს, ფოსტა და ტელეგრაფი უარს იხზადებდა მათი ცნობების მიწოდებაზე, რკინისგზენი აბუზიდ ივდებდნენ ყველა მთავანს, ვინც კი მატარებლის მოითხოვდა. ეკრანსკი და აიწყყო, მთლად გერანიზირებულ დანდობა შეუძლებელი იყო, ყაზახები უტდიდნენ შესაფერ წამს, რომ მოქმედება დაეწყათ.

ყრილობის სხდომა დაიწყო ნაშუადღევს პირველ საათზე; ერთი საათით ადრე კი სხდომის დარბაზი მთლად გაჭედილი იყო. მეგობრ 7 საათხდედ პრეზიდენტიმ არსად სჩანდა. ბოლშევიკურ ფრაქციას და მემარცხენე ესერების ფრაქციის სხდომა ჰქონდათ თავთავინათ ოთახებში.

ალ. შაზგვანის „მამის მკვლელი“ ეპიზოდები.

დადება სახელმწიფო კინო მრეწველობისა.



1. ნუნუს ამსრულდებელი ნატა ანდრონიკაშვილის — ვანაძისა; 3. ნუნუ და იაკო (ვანო სარაჯიშვილი) 4. მანია (ელენტისა).



ცხრას ოცი წამი აკლდა, როცა მქუხარე ტაშმა გვაშინო პრეზიდენტის გამოსვლა. პრეზიდენტის წევრთა შორის იყო — ლენინი, — დიდი ლენინი.

შუა ტანის ჩამკრთობებელი ფეფურა; დიდი თავი, მელორტი და ამოხრთოთული, ზედ მხრებზე; დამჯდარი; პატარა თვალები; „კარტოვილითი“ ცხვირი; განივრად გაპიობილი, კეთილშობილების მწენი ბაგე და დამძიმებული მაგარი ნიკაბი; წმინდალ გაპარსული, მაგრამ უყვე აჯაგრებული ყნებე და სამახსოვრო — ახლო წარსულისათვის — საც და მომავლისათვისაც — თავისებური წვერი. აცვია დაუღვევრად, უბრალო ტანისამოსი, განიერი და გრძელი შალვარით. არ ახდენს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ შეუძლიან ხალხს სათაყვანებელი კერძი იყოს, — იმდენად საყვარელი და ყველას მიერ განდიდებული, რომ ისტორიაში იმეჩადიდა თუ ვისმე ჰქონდა წილად ასეთი სიყვარული და პატრიოტიზმი. — ასეთია ეს უსწავური ბელადი ხალხისა, — ბელადი მარტოოდენ თავისი ინტელექტის ძლიერებით, ბრწყინვალა ფერადებასა და ჰუმორის მოკლებული, რომელმაც არ იცის, რა არის შეთანხმება; ობიექტური, დამორბეული ყოველგვარ აფერადებულ იდიოლინკაზობას, მაგრამ დაჯილდოებული არაჩვეულებრივი უნარით ღრმა იდეების უბრალოდ ახსნისა, კონკრეტული სიტუაციის ანალიზისა და აგრეთვე, — უწყვეტად მოხერხებული დიპლომატიანობის ნიჭთან ერთად, — უდიდესი ინტელექტუალური გამებედაობის მისილი.

კამენევი კითხულობდა ანგარიშს სამხედრო-რევოლუციონური კომიტეტის მოქმედებისა.

სიკდილით დასჯის გაუქმება ჯარში, თავისუფალი პროპაგანდის უფლების დამაგრება, პოლიტიკური დანაშაულისათვის დაპატიმრებულ ოფიცერთა და ჯარისკაცთა განთავისუფლება. გამოიკა ბრძანება კერძოისა და პატიმრებისა და კერძო საწყობებში სსსურისათო მარაგის კონფისკაციის შესახებ... (მქუხარე ტაში).

შემდეგ გამოვიდა ბუნდის წარმომადგენელი.

— ბოლშევიკები უარს აცხადებენ შეთანხმებაზე, ამან შეიძლება გამოიწვიოს რევოლუციის განადგურება, — ამიტომ ბუნდის დელეგატებმა უარი უნდა განაცხადონ ყრილობის შემდგომ მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზეო — სიტყვა მან.

კრება ამ განცხადებას ყვირილით შეხება:

— ჩენი კი გვეგონა, რომ თქვენ გუშინ-ღამე წაბრძანდით! მაგრამ, რამდენჯერ კიდევ დაეპირებენ წასვლას?

